

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში და შენობის გარე პერიმეტრზე ვიდეომონიტორინგის განხორციელების, ჩანაწერის შენახვის, წაშლისა და განადგურების წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში და შენობის გარე პერიმეტრზე (შემდგომში „მერია“) ვიდეომონიტორინგის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესი განსაზღვრავს მერიაში ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანს, მონაცემთა დამუშავების წესს, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 2. ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანი და საფუძველი

1. მერიაში ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანს წარმოადგენს მერიის მოსამსახურეებისა და სხვა პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საკუთრებისა და სხვა კანონიერი ინტერესების დაცვა, ასევე ადამიანის უფლებების დაცვაზე მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელება.
2. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისა და მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, ეს წესი და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

თავი II

ვიდეომონიტორინგის განხორციელების ზოგადი წესი

მუხლი 3. ვიდეომონიტორინგის განხორციელების პრინციპები

1. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას დაცული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პრინციპები.
2. პირი, რომლის პერსონალური მონაცემებიც მუშავდება, სარგებლობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებებით.

#### მუხლი 4. ვიდეომონიტორინგის განხორციელება

1. მერიაში განთავსებული ვიდეომონიტორინგის სისტემა იძლევა მხოლოდ ვიზუალური მონიტორინგის შესაძლებლობას.
2. მერიაში ვიდეომონიტორინგი ხორციელდება როგორც რეალურ დროში, ასევე 24 საათიანი ჩაწერის რეჟიმში, 64 ვიდეოკამერით, მერიის ადმინისტრაციული შენობის დერეფნებში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მისაღებ ოთახსა და შენობის გარე პერიმეტრზე.
3. ვიდეომონიტორინგის განხორციელება დაუშვებელია ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებსა და მოსამსახურეთა სამუშაო ოთახებში.
4. მერიაში ვიდეომონიტორინგის განხორციელებამ არ უნდა ჩაანაცვლოს მერიის ადმინისტრაციული შენობის დაცვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მერიის ადმინისტრაციულ შენობაში შემომსვლელ პირთა შემოწმება და მათთან უშუალო კონტაქტის დამყარება.
5. მერიაში ვიდეომონიტორინგის სისტემა უნდა განთავსდეს ისეთი განლაგებით, რომ შესაძლებელი იყოს პირების ვიზუალურად დანახვა და იდენტიფიცირება.
6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება ვალდებულია უზრუნველყოს ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნ(ებ)ის თვალსაჩინოდ განთავსება.

### თავი III

#### ვიდეომონიტორინგის განხორციელების უფლებამოსილება და მონაცემთა დამუშავება

##### მუხლი 5. ვიდეომონიტორინგის განხორციელებასა და მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები

1. მერიაში ვიდეომონიტორინგი ხორციელდება ამ მიზნით სპეციალურად მოწყობილ, დაცულ ოთახში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილების IT სპეციალისტებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის (შემდგომ – დაცვის პოლიცია) უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ, მერიასა და დაცვის პოლიციას შორის გაფორმებული დაცვითი მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.
2. მერიაში ვიდეომონიტორინგის რეალურ დროში განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრებიან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილების IT სპეციალისტები და დაცვის პოლიციის უფლებამოსი მოსამსახურეები.
3. მერიაში ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა დამუშავებაზე (ნახვა, გადახვევა, ამოღება, გადმოწერა ან/და დაარქივება) პასუხისმგებელ პირებად, განისაზღვრებიან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილების IT სპეციალისტები, რომლებსაც, მათ შორის, აქვთ ვიდეომონიტორინგის რეალურ დროში განხორციელების უფლებამოსილება.

4. ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება ხორციელდება ამ მიზნით გამოყოფილ ოთახში (შემდგომში „მონაცემთა მართვის ოთახი“) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილების IT სპეციალისტების მიერ, შემდეგი გარემოებების აღმოჩენის მიზნით:

ა/. სავარაუდო სამართალდარღვევა ან/და დისციპლინური გადაცდომა;

ბ/. ადამიანის უფლებათა დაცვა;

გ/. საკუთრების დაცვა;

დ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა და სხვა პირთა უსაფრთხოების დაცვა;

ე/. სხვა გარემოება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

5. მონაცემთა მართვის ოთახში შესვლის, ყოფნისა და ჩანაწერების ნახვის უფლება აქვს:

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს;

ბ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს;

გ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელს;

დ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სხვა მოსამსახურეს.

6. აკრძალულია მონაცემთა მართვის ოთახში ფოტო/ვიდეო/აუდიო გადაღება/ჩაწერა და ტექნიკური ან/და ელექტრონული მანიპულაციები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

7. მონაცემთა მართვის ოთახში ნივთების ან/და ტექნიკური მოწყობილობების შეტანის უფლება აქვთ ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ პირებს.

8. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დაცულ ოთახში შესვლისა და ყოფნის უფლება აქვთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილების IT სპეციალისტებს, დაცვის პოლიციის უფლებამოსილი მოსამსახურესა და ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ პირებს, ხოლო შესვლის, ყოფნის, ჩანაწერების ნახვისა და ტექნიკური მოწყობილობების შეტანის უფლება აქვთ ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ პირებს.

#### მუხლი 6. ვიდეომონიტორინგის რეალურ დროში განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების მოვალეობები

1. ვიდეომონიტორინგი რეალურ დროში განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა/. მიუკერძოებლად და სრულყოფილად განახორციელოს ვიდეომონიტორინგი;

ბ/. დაიცვას ინფორმაციის უსაფრთხოება და კონფიდენციალურობის პრინციპი;

გ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელს შეატყობინოს შემდეგი დარღვევ(ებ)ის/ ინციდენტ(ებ)ის გამოვლენის შესახებ:

გ.ა/. მუნიციპალიტეტის ქონების დაზიანების ფაქტი ან/და დაზიანების მცდელობა;

გ.ბ/. სამართალდარღვევის ან/და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი;

გ.გ/. ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტი;

გ.დ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა და სხვა პირთა უსაფრთხოების ხელყოფის ფაქტი.

#### მუხლი 7. ვიდეომონიტორინგზე და მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის უფლება-მოვალეობები

1. ვიდეომონიტორინგზე და მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა/. ვიდეომონიტორინგის სისტემაზე დაშვება განახორციელოს მხოლოდ მასზე განპიროვნებული მომხმარებლის საშუალებით;

ბ/. მიუკერძოებლად განახორციელოს ვიდეომონიტორინგი;

გ/. ვიდეომონიტორინგის პროცესში გამოვლენილი დარღვევის შემთხვევაში მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი რეაგირება;

დ/. დაიცვას ინფორმაციის უსაფრთხოება და კონფიდენციალურობის პრინციპი.

#### მუხლი 8. ვიდეოჩანაწერების შენახვა, დაარქივება, გადაცემა და წაშლა/განადგურება

1. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას ინფორმაციის ჩაწერა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში. ჩაწერილი მონაცემები ინახება მონაცემთა მართვის ოთახში განთავსებულ სერვერებზე, არანაკლებ 1 /ერთი/ თვის ვადით, რა დროსაც ხორციელდება ახალი ინფორმაციის ავტომატური გადაწერა. ამავე მოწყობილობის მეხსიერებაზე არსებული ინფორმაციის ავტომატურად წაშლის შედეგად.

2. ჩაწერ მოწყობილობაზე აკრძალულია ნებისმიერი ელექტრონული აპარატის მიერთება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური მიზნებისთვის, ხდება ჩანაწერის დაარქივება/ამოღება, ან ტექნიკური ჯგუფის მიერ ხორციელდება შესაბამისი სამუშაოები.

3. ჩაწერილი მოწყობილობა დალუქული უნდა იყოს იმგვარად, რომ სხვა ელექტრონულ მოწყობილობასთან დაკავშირება (მათ შორის, USB კაბელით) შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე.

4. სამართალწარმოების ჩატარების მიზნით, ჩაწერილი მონაცემების დაარქივება ხორციელდება ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევ(ებ)ის/გარემოებ(ებ)ის აღმოჩენისას.

5. მონაცემების დაარქივებისას, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილების IT სპეციალისტები ადგენს შესაბამის ოქმს (დანართი №2). დაარქივებული მონაცემები ინახება მერიას, საამისოდ დაცულ ელექტრონულ მატარებელზე.

6. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვიდეოჩანაწერის მესამე პირისთვის გადაცემისას, უფლებამოსილი პირი ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის რეგისტრაცია დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში.

7. დაარქივებული მონაცემები ინახება დაარქივებიდან 12 თვის ვადით და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს მოთხოვნის განმახორციელებელ მხარეს.

8. შესაბამის ელექტრონულ მატარებელზე შენახული დაარქივებული მონაცემები ნადგურდება მე-7 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში, საამისოდ შექმნილი კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობასაც ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი. დაარქივებული მონაცემების შენახვის ვადების კონტროლი ხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილების IT სპეციალისტების მიერ.

9. უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამის ელექტრონულ მატარებელზე შენახული დაარქივებული მონაცემები უნდა წაიშალოს სისტემიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები ინახება ისეთ ელექტრონულ მატარებელზე, რომლის წაშლაც შეუძლებელია – მათი განადგურებით, ისე რომ შეუძლებელი იყოს მისი აღდგენა.

10. წაშლის/განადგურების შესახებ დგება ოქმი (დანართი №3), რომელშიც აღინიშნება განადგურებული მონაცემების მოცულობა, განადგურების დრო, ადგილი, განადგურების ფორმა და სხვა საჭირო მონაცემი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

მერის მოვალეობის შემსრულებელი

დ. შაყაძე

დავით ერემეიშვილი